



#1 (33), იანვარი, 2010

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას აშზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



ბავშვი და გარემო

გასული წლის ბოლოს ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ მცირე საოჯახო ტიპის სახლი გაიხსნა. სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციისთვის რუსთაველი ბინა ერთ-ერთმა ბანკმა შეიძინა და მოაწყო, სადაც 10 ბავშვს სრულიად ახალ გარემოში მოუწევს ცხოვრება.

გაგრძელება მე-2 გვ.

ბავშვი და გარემო

გაგრძელება



ფოტოები ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“
ფოტო-არქივიდან
ვებ-გვერდი:
<http://www.childandenvironment.org.ge/>

„ბავშვი და გარემოს“
ბენეფიციარებს ხშირად „ქუჩის ბავშვებს“ უწოდებენ, მიმართვის ეს ფორმა ბევრს სამართლიანად აღიზიანებს, თუმცა მათ ყველაზე ხშირად სწორედ ასე მოიხსენიებენ... მათი და ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ ურთიერთობა 90-იანი წლებიდან იწყება. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნანა იაშვილი იხსენებს, რომ 1994 წელს რამდენიმე მეგობარმა ქუჩაში მყოფი ბავშვების პრობლემების მოგვარებაზე დაიწყეს ზრუნვა. მოხალისეებმა შექმნეს მობილური სამსახური, რომლის მიზანიც ამ ბავშვების დახმარება იყო... ორი წლის შემდეგ მათ 125 ბავშვი აკითხავდა. შეხვედრა ღია ცის ქვეშ, წინასწარ დათქმულ დროს და ადგილას – „ალექსანდროვისა“ და „კიროვის“ ბაღებში და მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე ხდებოდა. „ამ ბავშვებს სერიოზული პრობლემები ჰქონდათ – მათ ნაწილს არ ჰყავდა მშობლები, ნაწილს მშობლები თუ არა ვინმე ახლობელი მაინც ჰყავდათ, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ ბავშვების გამოკვებას, განათლებას...“, – ამბობს ნანა იაშვილი. მათი ღია ცის ქვეშ ურთიერთობა დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა... შეძლებისდაგვარად უვლიდნენ, ეთამაშებოდნენ, ასწავლიდნენ წერა-კითხვას, მოხალისე პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და ექიმების დახმარებით დახმარებას უწყევდნენ... ორი წლის თავზე ყველაფერს სისტემური სახე მისცეს – ტასისის პროექტის ფარგლებში პირველი სადღეღამისო ცენტრი „ბელურები“ გახსნეს. სადღეღამისო ცენტრში უსახლკაროებს შეეძლოთ გარკვეული პერიოდი

შეეფარებინათ თავი, სადაც მათ საბაზისო დახმარებას უწყევდნენ... პროექტმა საშუალება მისცათ რომ მობილური სამსახურსაც გაეგრძელებინათ ფუნქციონირება... ქუჩაში მყოფი ბავშვების ნაწილს მშობელი თუ არა ნათესავი მაინც ჰყავდათ, შესაბამისად ჰქონდათ თავშესაფარი და მათთვის ყველაზე მისაღები იყო დღის ცენტრი, სადაც მივიდოდნენ და ისწავლიდნენ, ერთის მხრივ გარკვეულ ჩარჩოში არ მოექცეოდნენ და რეაბილიტაციისთვის გარკვეული გარემო შეიქმნებოდათ... ნანა იაშვილი ყვება რომ ასე გაჩნდა დღის ცენტრების შექმნის იდეა. პირველად დღის ცენტრი თბილისში დაარსდა, შემდეგ ჭიათურაში, რომელსაც პრევენციული სახე ჰქონდა, რადგან როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამბობს, კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვების ნაწილი რეგიონებიდან იყრიდა თავს თბილისში, ანალოგიურად იდგა საკითხი რუსთავთან მიმართებაშიც, სადაც ასევე გაიხსნა დღის ცენტრი. ასე შეიქმნა ბავშვებისათვის გარემო და საშუალება მიეღოთ არაფორმალური განათლება, ეხატათ, ემღერათ... შეეძინათ სოციალური უნარჩვევები, განვითარებულიყვნენ და გასჩენოდათ სურვილი მეორე დღესაც მისულიყვნენ. მათ ამაში სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, ფსიქოლოგები ეხმარებოდნენ და ეხმარებიან... ამ საქმეში საქართველოში მომუშავე ბევრმა დონორმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. 2004 წელს აშშ-ს განვითარების სააგენტოს პროგრამამ საშუალება მისცათ სტაბილური და უფრო **გაგრძელება მე-3 გვ.**

ბავშვი და გარემო

გაგრძელება

სერიოზული სახე მიეღო იმას, რასაც აკეთებდნენ. „პროგრამის მიზანი იყო რომ ყოველივეს ფრაგმენტული კი არა, გრძელვადიანი სახე ჰქონოდა – ცენტრებს სრულფასოვნად ემუშავათ სანამ მათი საჭიროება იქნებოდა და დონორების დაწყებული საქმე სახელმწიფოს გადაეხარებინა“, – ამბობს ნანა იაშვილი. ამ კუთხით ხელისუფლების წარმომადგენლებთან მუდმივი დიალოგი გრძელდებოდა. რამდენიმე სატენდერო კონკურსშიც მიიღეს მონაწილეობა – და დაფინანსება მიიღო რუსთავეში და თბილისში არსებულმა ცენტრებმა. „ეს დიდი წარმატებაა, რადგან სახელმწიფომ ჩვენი სერვისები მიიღო და დაფინანსდა“, აღნიშნავს „ბავშვი და გარემოს“ ხელმძღვანელი. მაგრამ დასძენს, რომ მათი მუშაობა ნაწილობრივ შინაარსობრივად შეიცვალა – ის ჯგუფი, რომელზეც ვმუშაობდით პროგრამის მიღმა აღმოჩნდა, დღის ცენტრის მომსახურებას სოციალურად დაუცველი ოჯახიდან გამოსული ბავშვები იღებენ.

2009 წლის ზაფხულიდან მიუსაფარ ერთის მხრივ, პრობლემას ქმნის ის ბავშვთა დღის ცენტრების მომსახურების დაფინანსება ანუ სახელმწიფო სატენდერო სისტემა შეიცვალა – შემოვიდა ვაუჩერული სისტემა, რომელიც მიზნულია ბენეფიციარზე და მის სოციალურ სტატუსზე. „მიუსაფარ ბავშვებთან მიმართებაში სახელმწიფო სატენდერო სისტემა ვაუჩერულმა შეცვალა. ვაუჩერით და შესაბამისად დღის ცენტრის მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ იმ ბავშვებმა, რომელთა ოჯახებიც სიღატაკის

ზღვარს მიღმა პროგრამის ბენეფიციარები არიან (ზღვარი 70 ათას ქულა), აცხადებს სოციალური დაცვის პროგრამების სამმართველოს უფროსი გიორგი კაკაჩია. იგი დასძენს, რომ ამ სქემაში ვერ მოხვდებოდნენ „ქუჩის ბავშვები“, რადგან აღნიშნულ პროგრამის (სიღარიბის პროგრამა) ბენეფიციარები ავტომატურად ვერ გახდებოდნენ. მიუსაფარ ბავშვებზე საუბრისას ნანა იაშვილი ამბობს რომ ბავშვთა ნაწილს არავინ ჰყავს, ნაწილს ჰყავს ახლობლები, რომელთა სოციალური სტატუსის დადგენისთვის საჭირო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოწესრიგებაზე „ბავშვი და გარემოს“ სოციალურმა მუშაკებმა დაიწყეს მუშაობა,, პროცესი რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა... „ბავშვი და გარემოს“ დღის ცენტრების – „ნატურის ხეები“ სავსეა იმ ბავშვების სურვილებით, რომლებიც ორკვირაში ერთხელ ან ყოველდღე დადიოდნენ იქ, ამბობს ნანა იაშვილი და ერთ-ერთ მათგანს გვაცნობს ... „ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა დამაბრუნოთ დღის ცენტრში“, მისი ავტორი 15 წლის ბიჭია.

საკითხი, რომ ბავშვთა ნაკადი მაგალითად გლდანის თავშესაფარში იმდენად სწრაფად შეიძლება შეიცვალოს, რომ მათი ვინაობა ვერ გაირკვეს, რაც ართულებს მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხის კონტროლს აცხადებს გიორგი კაკაჩია, მეორეს მხრივ, საკითხი ღიაა და ამიტომ 2009 წელს სახელმწიფო პროგრამით 40 ბავშვი დაფინანსდა. აქ საუბარია იმ სადღეღამისო მომსახურებაზე, რომლის შესახებაც წერილის დასაწყისში ვსაუბრობდით – „ბავშვი და

გარემოს“ მიერ შექმნილ მცირე საოჯახო ტიპის საცხოვრებელზე რუსთავეში (10 ბავშვი), 30–მა ბავშვმა კი გლდანის თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა. ბენეფიციართა რიცხვი 2010 წლისთვის კიდევ ათით გაიზარდა და 50 ბავშვის მომსახურება თავშესაფრის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება. „ბავშვი და გარემოში“ აღნიშნავენ, რომ აშშ–ს განვითარების სააგენტომ დამატებით მოიძია სახსრები და 45 ბავშვის საჭიროებების ხელახალი შეფასებისთვის გამოყო, რათა მათ შემდგომში დახმარება გაეწიოთ. საკითხი ჯერჯერობით ღიაა, ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროში საკითხებზე მუშაობენ, თუმცა წინადადებებს ელიან, მათ შორის, სოციალური ორგანიზაციებისგან, რათა საკითხი მოგვარდეს.

მოკლედ

საქართველოს მთავრობამ #978 განკარგულებით 15 დეკემბერს დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სამთავრობო სამოქმედო გეგმა. გეგმა რომელიც სამ წელზეა (2010–2012წლები) გათვალისწინებს: შეზღუდული შესაძლებლობის დადგენის ექსპერტიზის სისტემის, შემეცნებით მუშაობისა და ინფორმაციის მიწოდების ხელმისაწვდომობის, ხელმისაწვდომი და მოწყობილი გარემოს ინდივიდუალური ადაპტაციის საშუალებების, განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, აბილიტაციარეაბილიტაციის, დასაქმების, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის, საჭიროებების ბაზის შექმნის საკითხებს.

განკარგულება იხილეთ
<http://www.civilin.org/welfare>

ცვლილებები

შშმ პირთა დღის ცენტრების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ფორმა შეიცვალა – სახელმწიფო ტენდერების სისტემა ვაუჩერულმა შეცვალა. საქართველოს ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის პროგრამების სამმართველოს უფროსის გიორგი კაკაჩიას თქმით, ვაუჩერი მიემა ბენეფიციარს, რომელსაც სურვილისამებრ შეუძლია აირჩიოს დღის ცენტრი. ასევე გაიმიჯნა ბავშვებისა და მოზრდილების დღის ცენტრები – სოციალურ ორგანიზაციებს საშუალება მიეცათ აერჩიათ 18 წლამდე და 18 წლის ზევით მყოფთა კონტინგენტი. მისი ინფორმაციით 2009 წელს 20 ორგანიზაციამ მოიგო ტენდერი და დღის ცენტრის მომსახურება 650 ადამიანმა მიიღო, წელს მომსახურებას გაცილებით მეტი მიიღებს. თუმცა, როგორც გიორგი კაკაჩია ამბობს, დღის ცენტრების მომსახურების მიმღები ადამიანების შერჩევის კრიტერიუმი მტკივნეული აღმოჩნდა – თავდაპირველად შეთავაზება ასეთი იყო: შშმ პირი, რომელიც სოციალურად დაუცველია პირველ რიგში მან უნდა მიიღოს აღნიშნული სერვისი, შესაბამისად 100%-იან დაფინანსებას მიიღებდნენ ადამიანები, რომლებმაც სილატაკის ზღვარს მიღმა პროგრამის ფარგლებში 100 ათას ქულაზე ნაკლები მიიღეს, 70%-იან დაფინანსებას მიიღებდნენ 120 ათასი ქულის მქონე ბენეფიციარები, ხოლო ყველა დანარჩენს, ვინც წლების განმავლობაში იღებდა ამ მომსახურებას, მაგრამ სილატაკის ზღვარს მიღმა პროგრამის ბენეფიციარი არ იყო, თავად უნდა გადაეხადა მომსახურების საფასური (200–230 ლარი). თუმცა, მათ შორის, აღმოჩნდა ბევრი ისეთი, რომელიც მართალია ამ პროგრამის ბენეფიციარი არ არის, მაგრამ აღნიშნული თანხის გადახდის საშუალება არ აქვს. ამიტომ გარკვეულწილად შეიცვალა თავდაპირველი შეთავაზება – 450 ადამიანი (მათ შორის მოხვდნენ წინა წლებში დღის ცენტრის მომსახურების მომხმარებლები), რომელიც აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარია მიიღებს 100%-იან დაფინანსებას, ხოლო დანარჩენი თანხა თანაბრად გადანაწილდება იმ 200 ბენეფიციარებზე რომლებმაც წინა წლებში მიიღეს დღის ცენტრის მომსახურება, ისინი 60%-იან დაფინანსებას მიიღებენ. სულ 2010 წელს დღის ცენტრების მომსახურებას დაახლოებით 823 შშმ პირი მიიღებს – აქედან 450–500 100%-იან, ხოლო დანარჩენები 60%-იან სახელმწიფო დაფინანსებას.

მოკლედ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 დეკემბრის #428\ნ ბრძანების საფუძველზე განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების, პანსიონატების, დაწესებულებებისა და დღის ცენტრების რეორგანიზაცია და შეიქმნა მათი უფლებამონაცვლე სსიპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტო“. ამავე ბრძანებით დამტკიცდა სააგენტოს დებულება.

ბრძანება იხილეთ <http://www.civilin.org/welfare>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის #4–ნ ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა „სახელმწიფო დახმარების ადმინისტრირების წესი“, რომლის მიზანია სახელმწიფო დახმარების გაცემასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება.

ბრძანება იხილეთ <http://www.civilin.org/welfare>

საკონკურსო განაცხადი

1.ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: შესყიდვის ობიექტია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია. **ინფორმაცია იხილეთ** გაზეთი „24 საათი“, 26 იანვარი. 2010 წელი <http://www.24saati.ge> <http://www.civilin.org/welfare>

2.ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვა) ადრეული რეაბილიტაცია და პრევენცია **ინფორმაცია იხილეთ** გაზეთი „24 საათი“, 26 იანვარი. 2010 წელი <http://www.24saati.ge> <http://www.civilin.org/welfare>

3.ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფა **ინფორმაცია იხილეთ** გაზეთი „24 საათი“, 26 იანვარი. 2010 წელი <http://www.24saati.ge> <http://www.civilin.org/welfare>